



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

30

08

2021 წ.

№ 128

ქ. თბილისი

„პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების
კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო
კომისიის შექმნის თაობაზე“

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.05.2021
წლის №60 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, 59-ე მუხლისა და
„სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის
დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-2 მუხლის
მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების
კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო კომისიის
შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორის 24.05.2021 წლის №60 ბრძანებაში გასწორდეს შეცდომა და საექსპერტო
კომისიის წევრის შეცდომით განსაზღვრული სახელის „ნუცა ალექსის“ ნაცვლად
ჩაიწეროს „სალომე ალექსი“.

2. საექსპერტო კომისიის წევრის – არჩილ შუბაშვილის გარდაცვალების გამო, შევიდეს
ცვლილება „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების
დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი
საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.05.2021 წლის №60 ბრძანებაში და პირველი
სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე
შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო კომისია
ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:
1. სალომე ალექსი - რეჟისორი;
 2. ნინო ახვლედიანი - რეჟისორი;
 3. გიორგი გეთიაშვილი - კინომცოდნე;
 4. გიორგი ქობალია - პროდიუსერი;
 5. აკაკი შანშიაშვილი - რეჟისორი;
 6. გიორგი ცქვიტინიძე - რეჟისორი;
 7. თამარ შავგულიძე - რეჟისორი;
 8. არჩილ ქიქოძე - მწერალი/სცენარისტი;

3. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

